


ახალი განთიადი

,,ბედნიერია ის, ვისაც სამშობლოსათვის უძგერს გული,,

2019 წელი 31 ოქტომბერი № 10 № 8151





განთიადი

88-ე წელი თქვენთან ერთად!

ელფოსტა AxaliGantiadi@gmail.com




## სოფელ დოესის საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია

მუნიციპალიტეტის პრიორიტეტებიდან ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების რეაბილიტაცია და აღსაზრდელებისათვის სათანადო პირობების შექმნა. სოფელ დოესში 200 აღსაზრდელზე გათვლილი ორსართულიანი, რეაბილიტირებული და კეთილმოწყობილი საბავშვო ბაღი გაიხსნა.

შენობაში შეიცვალა სასმელი წყლის, წყალარინების და ელექტროგაყვანილობის სისტემა, კარ-ფანჯრები, მოეწყო ცენტრალური გათბობა, გაილესა და შეიღება შიდა და გარე ფასადი.

საბავშვო ბაღის გახსნას შიდა ქართლის მხარის რწმუნებული გიორგი ხოჯევანიშვილი და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

საბავშვო ბაღში ამჟამად 100 პატარაა და მომავალში კონტინგენტის გაზრდას ელოდებიან. სარეაბილიტაციო სამუშაოები ი/მეწარმე "კახა დათაშვილმა" განახორციელა, რომლის ღირებულება 333 278 ლარია. პროექტი კასპის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდა.

## სიმღერისა და გალობის ტრადიციული ფესტივალი "ქართული"

გვ.3.



ყველა დროის კითხვა

გვ.4.

## შიდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზა

გვ.2.

გვ.5.

## კომპოზიტორი ლეგენდა გია ყანჩელი

## ქ ა რ თ უ ლ ი პოლიფონია

გვ.3.





## რა აკლია ქართველს?

გვ.4.

## ,,ბურდულების ოჯახური პორტრეტი,, კასპში

გვ.4.

## საქართველოს ვეტერანთა დღე

გვ.2.

## ,,ქართული ხმები,, ლამისყანაში

გვ.2.



## კიდევ ერთი საჯარო სკოლის მშენებლობა

გვ.2.

## ... თუ მშობლებს არ სცალიათ

გვ.7.

## შეუცნობელის კვალდაკვალ

გვ.5.

## აუხსნელი, უცნაური, მოულოდნელი

გვ.5.



## ,,კახეთო, ჩემო კახეთო!,,

გვ.8.

## სიახლე ჩემს ქალაქში



## სპორტული ინფრასტრუქტურა დინამიკაში

გვ.8.

## რელიგიური უმრავლესობის გეოგრაფია

გვ.6.




გვ.6.

## ხსოვნის ტურნირი




## გახდი ახალგაზრდა მეწარმე

გვ.8-9.



## კულინარული მოგზაურობა წარსულში

გვ.8-9.

# ,,ქართული ხმები,, ლამისყანაში

შიდა ქართლის სამხარეო ადმინისტრაციისა და ''პროექტი იქსი''-ს ინიციატივით სოფელ ლამისყანაში, ჯამბაკურ-ორბელიანთა სასახლე-



მუზეუმში ანსამბლ ''ქართული ხმები''-ს სოლო კონცერტი გაიმართა.



კომპოზიტორ გია ყანჩელის ხსოვნის პატივსაცემად ანსამბლის მიერ შესრულებული სიმღერა ''ჰერიო ბიჭებო!'' მაყურებელმა ფეხზე ამდგარმა მოისმინა.

საზოგადოებამ ანსამბლი აპლოდისმენტებით გააცილა და გულითადი მადლობა გადაუხადა ღონისძიების ორგანიზატორებს.

# კიდევ ერთი საჯარო სკოლის მშენებლობა

კასპის მუნიციპალიტეტში კიდევ ერთი საჯარო სკოლის მშენებლობას ჩაეყარა საფუძველი.




სოფელ წინარეხში დაიწყო 60 მოსწავლეზე გათვლილი საჯარო სკოლის სამშენებლო სამუშაოები.

სკოლის მშენებლობას ახორციელებს მუნიციპალური ფონდის მიერ გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებული შპს ''ჯავა''.

სოფელ წინარეხის სკოლა 1882 წელს საქართველოში წერა - კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ დააარსა. დღეს სკოლას კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი აქვს მინიჭებული.



მიმდინარე წელს კასპის მუნიციპალიტეტში 3 ახალი სკოლა აშენდება.

უკვე მიმდინარეობს სოფელ კოდისწყაროს საჯარო სკოლის მშენებლობა, ახალი სკოლა აშენდება სოფელ ქვემო გომშიც - აღნიშნა კასპის მუნიციპალიტეტის მერმა მანუჩარ მერებაშვილმა.

# საქართველოს ვეტერანთა დღე

კასპის მუნიციპალიტეტის მერმა მანუჩარ მერებაშვილმა და მერის პირველმა მოადგილემ თამაზ ტატანაშვილმა ომის ვეტერანებს საქართველოს ვეტერანთა დღე მიულოცეს.

ვეტერანებმა გვირგვინით შეამკეს გმირთა მემორიალი და ომში გარდაცვლილი თანამებრძოლები გაიხსენეს.

კასპის სპორტულ კომპლექსში გაიმართა ვეტერანთა შეჯიბრი შაშში, ჭადრაკსა და ნარდში. გამარჯვებულებს გადაეცათ მედლები და სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის საპატიო სიგელები, ხოლო ომის ინვალიდებს სასაჩუქრე პაკეტები.



# გახდი ახალგაზრდა მეწარმე

კასპის მუნიციპალიტეტის მერიის ხელშეწყობით კასპის საქალაქო ბიბლიოთეკაში ორ დღეს მიმდინარეობდა ''გახდი ახალგაზრდა მეწარმე''-ს მეორე საგრანტო კონკურსის ტრენინგი.



პროექტს ახორციელებს, RDFG, USAID ZRDA პროექტის ფარგლებში.

კონკურს ''გახდი-ახალგაზრდა მეწარმე''-ს პირველ კონკურსში კასპელი გიორგი ნიპარიშვილი, რომელიც ქართულ ხალხურ საკრავებს ამზადებს, 10 000 ლარის გრანტით დაჯილდოვდა.

გიორგი შეხვდა ტრენინგის მონაწილეებს და ესაუბრა პროექტის მნიშვნელობის შესახებ.

კასპის მუნიციპალიტეტის მერია ულოცავს გიორგი ნიპარიშვილს და წარმატებებს უსურვებს მეორე ეტაპის მონაწილეებს.

იმედია, კასპელი ახალგაზრდები ამ კონკურსშიც მიაღწევენ გამარჯვებას.

ტრენინგს უძღვებოდნენ ტრენერები ნანა




ქვრივიშვილი და ნინო ნასყიდაშვილი.

ცნობისათვის: მონაწილეებმა უკვე მოამზადეს და წარადგინეს იდეები, რომელთაგანაც მოწონებული იდეა დაფინანსდება საუკეთესო ბიზნეს გეგმის წარდგენის შემდგომ.



## საგზაო ინფრასტრუქტურა სოფლად

# შიდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზა

სოფელ მეტეხი - ქვემო გომი - ნათლისმცემლის ეკლესიის შიდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები დასრულდა.

მოასფალტდა 5,5 კილომეტრი გზის მონაკვეთი, მოეწყო რკინა-ბეტონის სანიაღვრე მონოლითური ღარები, ეზოებში შესასვლელები, მილხიდები, დაიხაზა გზა, მოეწყო საგზაო ნიშნები და ცინოლალპოდის ზღუდარები.

მოასფალტებულმა გზამ მოიცვა მეტეხის ღვთისმშობლის ეკლესიის, მეტეხის საჯარო სკოლის, მეტეხის დევნილთა დასახლების, ქვემო გომის ნათლისმცემლის ეკლესიის, ქვემო გომის საჯარო სკოლის და საბავშვო ბაღის წინა ტერიტორიები.



სოფელ ქვემო გომის დაზიანებული გზა, ადამიანებისა და ტრანსპორტის გადაადგილებას მუდმივ საშიშროებას უქმნიდა, კეთილმოწყობილი გზა აღნიშნულ პრობლემას აღმოფხვრის - აღნიშნა კასპის მუნიციპალიტეტის მერმა მანუჩარ მერებაშვილმა.

გზის მოასფალტების სამუშაოები საქართველოს საგზაო დეპარტამენტის მიერ გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებულმა შპს ''იბოლია''-მ და შპს ''შარა''-მ შეასრულეს. პროექტის განხორციელებაში 2 962 869 ლარი დაიხარჯა.

**დალი კორკომაშვილი, კასპის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.**

გამოიწერეთ ''ახალი განთიადი''
გახდით ჩვენი მკითხველი!

განთიადი

# სიმღერისა და გალობის ტრადიციული ფესტივალი "ქართლი"

ქართულ ხალხურ სიმღერებს მრავალხმიანობა ახასიათებდათ. მრავალხმიანობა, ანუ პოლიფონიურობა, კი უნიკალურ მოვლენად ითვლება და მსოფლიოს ხალხთა შორის ერთეულები თუ დაიტრაბახებენ ასეთი სიმდიდრით. ქართული მრავალხმიანობა მათ შორისაც სრულიად განსაკუთრებულია, განსხვავებული და მრავალფეროვანი. საქართველოს ყველა კუთხეს თავისებური მუსიკალური დიალექტი აქვს, ასეთი დიალექტები 15-მდე აღწევს.

ქართული ხალხური სიმღერები ერთგვარ წარმოდგენას გვიქმნიან ჩვენს წინაპართა ადათებსა და ცხოვრების წესზე. ამდენად, ქართულ ხალხურ სიმღერას ისტორიული მნიშვნელობაც აქვს.

ჩვენს სოფლებში დღესაც შეიძლება მოისმინოთ უძველესი შელოცვები, ამინდის ღვთაების საგალობლები, მზის სადიდებელი ჰიმნი, სამკურნალო სავედრებელნი და სხვა. მათი შესწავლა საშუალებას გვაძლევს წარმოვიდგინოთ, როგორ მღეროდნენ ჩვენი წინაპრები 2-3 ათასი წლის წინ.

უძველესი სიმღერები მრავალხმიანია და გუნდურად სრულდება, რაც ქართული ხალხური მუსიკის ყველაზე უფრო დამახასიათებელი და გამორჩეული მხარეა.



12-13 ოქტომბერს კასპის მუნიციპალიტეტის მერიისა და ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ხელშეწყობითა და ორგანიზებით სამთავისის ამაღლების სახელობის საკათედრო ტაძარში გაიმართა სიმღერისა და გალობის ტრადიციული ფესტივალი "ქართლი", რომელშიც მონაწილეობდნენ ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხის წარმომადგენლები, ქართული სიმღერისა და გალობის შემსრულებლები... სადღესასწაულოდ მორთული სამთავისის ტაძრის ეზო-მიდამო სტუმრებს ვერ იტევდა, აქ იყვნენ დედაქალაქიდან ჩამოსული კომპოზიტორები და მუსიკოს-შემსრულებლები, ხელოვნებისა და კულტურის გულშემატკივრები, მოსწავლეები, ახალგაზრდები, ძველი და ახალი თაობის წარმომადგენლები.

ძალიან საინტერესოდ, ემოციურად წარიმართა ფესტივალის პირველი დღე, დიახ, 12 ოქტომბერს ღონისძიება დაიწყო ახალბედა შემსრულებლების მონაწილეობით. ამჯერად ფესტივალზე გამოვიდნენ ბავშვთა გუნდები, რა თქმა უნდა, ძირითადად სალოტბარო სკოლების მოსწავლეთა გუნდები. დაუვიწყარი, მართლაც რომ ამაღლევებელი იყო ტაძარში მათ მიერ შესრულებული ქართული საგალობლები, ისმოდა ქართული მრავალხმიანი ფოლკლორული მარგალიტები.









ფესტივალზე წარმატებით გამოვიდნენ ბავშვთა ანსამბლები, მათ შორის იყო: კასპის სალოტბარო სკოლა /ხელმძღვანელები ზაზა მენაბდიშვილი და ეკა ყაზარაშვილი/, ზესტაფონის სალოტბარო სკოლა /ხელმძღვანელი გივი აბესაძე/, ბორჯომის სალოტბარო სკოლა /ხელმძღვანელი ლელა მუზურაძე/, ანსამბლი "კირიალესა" / თბილისი, ხელმძღვანელი ლელა ურუშაძე/, ანსამბლი "ქართლი" /ხაშური, ხელმძღვანელი გიორგი შუბითიძე/, კასპის სახელოვნებო სკოლის ბავშვთა გუნდი /ხელმძღვანელი გიორგი ხასიშვილი/, ქვემო ჭალის კულტურის სახლთან არსებული ბავშვთა გუნდი "საამილახვრო" /ხელმძღვანელი გიორგი ხასიშვილი/, კასპის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლთან არსებული ტრადიციული სიმღერა-გალობის შემსწავლელი წრის გუნდი /ხელმძღვანელი ლალი კალატოზიშვილი/.



ფესტივალის მეორე დღე მთლიანად დაეთმო ფოლკლორულ ანსამბლებსა და ინდივიდუალურ შემსრულებლებს, ერთი სიტყვით, კონცერტის გახსნის პატივი წილად ხვდა კასპის ფოლკლორულ ანსამბლ "ქართლს" /ხელმძღვანელი ზაზა მენაბდიშვილი/, მონაწილეობდნენ ანსამბლები: "სახიობა" /თბილისი, ხელმძღვანელი მალხაზ ერქვანიძე/, "ბოლნელა" / ბოლნისი, ხელმძღვანელი ნანა ვალიშვილი/, "ლაგუშედა" / ლენტეხი, ხელმძღვანელი ზურა ლიპარტელიანი/,კასპის მუნიციპალიტეტის ფოლკლორული ანსამბლი "მოურავი" /ხელმძღვანელი ზურა ხითარიძე/, ანსამბლი "ნადი" / თბილისი, ხელმძღვანელი დავით აბრამიშვილი/, ქვემოჭალელი ინდივიდუალური შემსრულებლები ძმები ხელაშვილები /ხელმძღვანელი გიორგი ხასიშვილი/, ფოლკლორული ანსამბლი "ფესვები" / თბილისი, ხელმძღვანელი დავით უზნაძე/, ანსამბლი "ფერხისა" /ხელმძღვანელი ნათია დათუაშვილი/, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ანსამბლი "აფენი" /ხელმძღვანელი თამაზ ნოზაძე/, ანსამბლი "კამილია" / ხელმძღვანელი ზოე პერე/, კასპის წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის ტაძრის გუნდი /ხელმძღვანელი ლალი კალატოზიშვილი/, გალობის უნივერსიტეტის გუნდი /ხელმძღვანელები: სერგო ურუშაძე და ნინო რაზმაძე/. ამრიგად, როგორც ამ ტრადიციული, ერთობლივი პროექტის ხელმძღვანელებმა და ორგანიზატორებმა განაცხადეს წლევანდელი ფესტივალი, ისევე როგორც შარშანდელი, ორგანიზებულად, ძალიან ლამაზად ჩატარდა სამთავისში, ეს იყო ქართული სიმღერისა და გალობის ნამდვილი დღესასწაული.



**ჩვენი წინაპრები მღეროდნენ ომის, შრომის, ავადმყოფობის, მხიარულების, მწუხარების დროს.**

**სიმღერა სწორედ ის ძალა იყო, რომელიც გაჭირვებაში მხნეობასა და სიმტკიცეს მატებდა. ამიტომაც უფროსილდებოდა ქართველი კაცი თავის მრავალსაუკუნოვან მუსიკალურ ენას.**



# „ბურდულების ოჯახური პორტრეტი" კასპში



23 ოქტომბერს კასპის კულტურის ცენტრში კასპის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ ბიბლიოთეკების გაერთიანებამ კასპის საზოგადოება მიიწვია შეხვედრაზე "ბურდულების ოჯახური პორტრეტი". ოჯახი:

ელგუჯა ბურდული - დაიბადა თბილისში 1941 წლის პირველ აპრილს. ჩააბარა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში საღამოს განყოფილებაზე და 1969 წლამდე სწავლობდა სამშენებლო ფაკულტეტზე. იყო მაშველი თბილისის ზღვაზე (1958-1969), საქართველოს სახელმწიფო ქორეოგრაფიული ანსამბლის წევრი (1961-1964), 1974 წლიდან აქტიურად დაიწყო კინოროლების თამაში, 1984 წლიდან კი გახდა კინოსტუდია "ქართული ფილმი"-ს მსახიობი.

საქართველოს სახელმწიფოებრიობის 3000 წლისთავის აღნიშვნაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისათვის დაჯილდოებულია საქართველოს საპატრიარქოს საპატიო სიგელით (2000). ბატონი ელგუჯა არის საქართველოს და რუსეთის კინემატოგრაფისტთა კავშირის "ნიკა"-ს წევრი. საქართველოს მწერალთა კავშირმა მიანიჭა ხელოვნების რაინდის წოდება.





ინეზა აბესაძე არის /ელგუჯა ბურდულის მეუღლე/ - მსახიობი, თეატრალური ინსტიტუტის სამსახიობო ფაკულტეტის პირველი გამოშვება; თბილისის მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის დამსახურებული პედაგოგი (მხატვრული კითხვა);

ლადო ბურდული /ელგუჯა ბურდულის ვაჟი/ არის - მუსიკოსი, ქართული ალტერნატიული მუსიკის ერთ-ერთი პიონერი, მსახიობი;

მაკა ბურდული /ელგუჯა ბურდულის ქალიშვილი/ არის მსახიობი, კინოდოკუმენტალისტი. ამჟამად ბაქოს კულტურის ინსტიტუტის მაგისტრანტი;

ბაკურ ბურდული /ელგუჯა ბურდულის ვაჟი/ - არის ოპერატორი. როკ - მუსიკოსი.

შეხვედრა მოამზადა და მიჰყავდა ლია მენაბდიშვილს.



სტუმრებს მიესალმნენ: კასპის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის უფროსი თეა ხორბალაძე, კასპის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკების გაერთიანების დირექტორი ეთერ ჩადუნელი, კასპის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანების სპეციალისტი იზაბელა კობიაშვილი, პოეტი ლეილა გაფრინდაშვილი, მაია ბურდულის სკოლის პედაგოგი მზია მამიაშვილი, ეკლესიის მრევლი ციცინო მამაცაშვილი;

შეხვედრას ესწრებოდა თეოლოგი, არქიმანდრიტი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ქართული ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხულ გრიგოლ ფერაძის ნატამალი როსტომ ფერაძე, ჟურნალისტი ბაია თოფურია, ოპერატორი ხვიჩა ჭუმბაძე.

შეხვედრას გამოეხმაურნენ კასპში მაცხოვრებელი ბურდულები, რომლებმაც ელგუჯა ბურდულის ოჯახს მოუწყეს შესანიშნავი დახვედრა, რისთვისაც თითოეული მათგანი იმსახურებს განსაკუთრებულ მადლობას. აღსანიშნავია კასპის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანების სპეციალისტ ნათია ბურდულის გულისხმიერება. უნდა აღინიშნოს საქართველოს პარლამენტის კასპის ბიუროს წარმომადგენლის ლაშა ზუბიაშვილის, კასპის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებების გაერთიანების სპეციალისტების ზურაბ საჩალელის, დიმიტრი მაღლაკელიძის, ვალტერ ბახტაძის მონაწილეობა შეხვედრის საორგანიზაციო საკითხების მოგვარებაში.

შეხვედრა შედგა, კასპის საზოგადოებამ კიდევ ერთხელ გამოხატა თავისი სიყვარული და დამოკიდებულება მსახიობ, კარგი შვილების აღმზრდელ ელგუჯა ბურდულის და მისი ოჯახის მიმართ.



**კასპის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკების გაერთიანება.**

# რა აკლია ქართველს?

**"ლატაკნი მიტომ ვართ, რომ ..."**

**– დიმიტრი უზნაძე**



დიმიტრი უზნაძე (1886-1950 წწ.) ქართველი ფსიქოლოგი, ფილოსოფოსი და საზოგადო მოღვაწე, ფსიქოლოგიის ქართული სამეცნიერო სკოლის დამფუძნებელი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ერთ-ერთი დამფუძნებელი და აკადემიკოსი გახლდათ. ის არის მსოფლიო რანგის მეცნიერი, მსოფლიოში ცნობილი ორიგინალური მეცნიერული თეორიის - განწყობის თეორიის შემქმნელი. უზნაძის სამეცნიერო შრომები გამოქვეყნებულია ქართულ, გერმანულ, ინგლისურ, ფრანგულ და სხვა ენებზე, მისი ნაშრომები ეძღვნება ფსიქოლოგიის, ფილოსოფიისა და პედაგოგიკის საკვანძო საკითხებს.

რა აკლია ქართველს? - ამ, ალბათ, ყველა დროის კითხვას, ის თავისებურ ახსნას უძებნის და რომელიც შემდეგში მდგომარეობს:

...

ქართველს აკლია დაჟინებითი მისწრაფება ერთხელ დასახული მიზნის განხორციელებისაკენ, რომელსაც ვერავითარი დაბრკოლება და სიძნელე ვერ სპობს; მუდმივი, დაუღალავი შრომის უნარი, თავდავიწყებითი ჭაპანის წევა.

პატარა საქმეების ისეთივე სერიოზულობით კეთება, როგორც დიდი საქმეებისა. ქართველ ხალხს ეს თვისება არ აქვს. მისი გული და მისი ნება ჰარმონიულად ფეთქს. გული აინთება- ნებაც მოქმედებს, მაგრამ გული მალე ცივდება და ნების მაჯისცემა უმალვე წყდება. იშვიათია ჩვენში ისეთი ადამიანი, რომელიც ენერგიის გამძლეობის მხრივ საგრძნობლად არ კოჭლობდეს.

პატარა საქმეები ჩვენს გულს არ ანთებენ და უამისოდ კი ჩვენი ნება არ იძვრის;

დიდი საქმეები კი გვაფეთქებენ, მაგრამ გული მანამდე ცივდება, სანამ საქმე სრულქმნის დონეს მიაღწევდეს, და გულთან ერთად ნებაც დუნდება და დაწყებული საქმე ანაზდად წყდება.

ამიტომ არის, რომ ჩვენი არსებობის ნიადაგს ჩვენვე ვანიავებთ და ბედნიერი მეტოქესთან ბრძოლაში მუდამ ვმარცხდებით.

საკუთარ საქმეს კი გამბედაობა და ინიციატივა ეჭირვება და ჩვენს ხალხს ეს აკლია; უამისობაა, რომ ჩვენ სხვის საწველ ფურად გვაქცევს და საკუთარ დოვლათს სხვების საკეთილდღეოდ გვადებინებს.

აქტიური ხასიათი, ძლიერი ნება - აი, რა აკლია ქართველობას და ჩვენი აღზრდის სისტემაც მარტო აქეთ უნდა იყოს მიმართული.

ჩვენ მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ გლახები და მონები იმიტომ კი არა ვართ, რომ ლატაკნი ვართ, არამედ ლატაკნი მიტომ ვართ, რომ გლახები და მონები გახლავართ, და თუ რამ გვჭირია, ყოვლის უწინარეს, აქტიური ხასიათია ჩვენთვის საჭირო.

„ახალი განთიადი" ეძებს საინტერესო სურათებს რაიონის საგაზეთო ფოტო-მატიანის შესაქმნელად. თხოვნით მივმართავთ თანარაიონელებს - დატოვეთ თქვენი კვალი ჩვენს მატიანეში! გამოგვიგზავნეთ საინტერესო და სახალისო ფოტოები!

გამოიწერეთ "ახალი განთიადი"! გახდით ჩვენი მკითხველი!

## კომპოზიტორი ლეგენდა



კომპოზიტორი გია ყანჩელი თანამედროვეობის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია. ის რასაც გია ყანჩელი მუსიკით ამბობს, ჩვენი დროის, ჩვენი ეროვნული სინამდვილის, ჩვენი კულტურული ტრადიციების და იმ პრობლემების გამოძახილია, რომელიც ჩვენს ეპოქაში საქართველოს თვითმყოფად კულტურულ-ისტორიულ სიტუაციას განაპირობებს.

მისი მუსიკის შინაარსის გარკვეულ თავისებურებას ანიჭებს სამუსიკო ენა, ინტონაციური განვითარების ლოგიკა, რომელიც მიმდინარეობს კომპოზიტორის შინაგანი განცდიდან, ადამიანის სულიერი სამყაროს ღრმა ცოდნიდან და მსმენელის უფაქიზეს გრძნობებს ემსახურება.

გია ყანჩელის შემოქმედება ახალი ეტაპია ქართული მუსიკის განვითარებაში. მან ქართულ მუსიკაში ისეთ სიღრმეებს, მშვენიერების ისეთ მწვერვალებს მიაღწია, რომელიც მანამდე უცხო იყო ჩვენთვის. კომპოზიტორის პოეტური სახეები საოცარ ესთეტიკურ სილამაზეს გვაგრძნობინებენ. მისი მუსიკის ხელწერა განუმეორებელი, ორიგინალური და ისეთივე თანამედროვეა, როგორც მუსიკის შინაარსი.

კომპოზიტორი გია ყანჩელი ავტორია შვიდი სიმფონიის ოპერის "და არს მუსიკა", რექვიემის – "სევდა ნათელი" ბიჭების გუნდისათვის შექმნილი მუსიკის, მათ შორის: "ხანუმა", "ქალი გველი" და სხვა, აგრეთვე, გია ყანჩელის მუსიკა შედის კინომუსიკათა შედევრებში. ეს მუსიკა გამოირჩევა ძველი მუსიკისათვის დამახასიათებელი ლამაზი მარტივი მელოდიებით.

გია ყანჩელი არის კინოსცენების შესაბამისი მუსიკალური ასახვისა და გამოხატვის დიდოსტატი. ნამდვილად მისი მუსიკალური ნაწარმოებები არის მსოფლიო შედევრი.

მარტო ის რად ღირს, როდესაც უსმენ მის ულამაზეს ნაწარმოებებს "მიმინოს", "ყვითელი ფოთლები" და სხვა.

კომპოზიტორ გია ყანჩელის შემოქმედება კარგა ხანია გასცდა ჩვენი ქვეყნის ფარგლებს და ფართო მსმენელთა აღიარება მოიპოვა. მისი სიმფონიები შესრულებულია ამერიკაში, საფრანგეთში, იტალიაში, ფინეთში, პოლონეთში, რუმინეთში...

რად ღირს თუნდაც ის ფაქტი, რომ ლაიფციგის გევანდჰაუზის ცნობილი ორკესტრი, გამოჩენილი მუსიკოსის კურტ მაზურის დირიჟორობით, მოგვევლინა გია ყანჩელის საუკეთესო პროპაგანდისტად.

სწორედ ამ კოლექტივის დაკვეთით გია ყანჩელმა შექმნა მეექვსე სიმფონია და ვოკალურ-სიმფონიური თხზულება "სევდა ნათელი", რომელიც მიეძღვნა მეორე მსოფლიო ომში დაღუპული ბავშვების ხსოვნას. ბავშვთა უმანკო სულების მოსახსენებელ ამ მესას საფუძვლად უდევს ღრმააზროვანი სტრიქონები, გალაკტიონის, გოეთეს, შექსპირის, პუშკინის პოეზიიდან. დაწერილი აქვს სიმფონია, რომელიც მიეძღვნა "მიქელანჯელოს ხსოვნას".

გია ყანჩელმა გამოიგონა ისეთი მუსიკალური ენა, რომ მსოფლიო ყველა ხალხისთვის გასაგები და მღერადია.

გია ყანჩელმა თავისი შემოქმედებით წარმოაჩინა ქართული მუსიკის მაღალეთიკური სიმდიდრის ახალი მხარეები, ახალი თვისებები, რომელთა ეროვნულობა სათავეს იღებს ხალხური მუსიკისა და საგალობლების ღრმა ფესვებიდან.

კომპოზიტორი გია ყანჩელი ქართველი ხალხის მეხსიერებაში და არა მარტო ქართველი ხალხის – მსოფლიო მეხსიერებაში, სადაც კი მისი მუსიკა გაჟღერებულა დარჩება კომპოზიტორი ლეგენდა.

დემურ ღვინაძე.

---

### სახელოვნებო სკოლების გაერთიანება

## მასპინძლობდა ,,წნული,,

რელიგიური დღესასწაული "სვეტიცხოვლობა" შინაარსიანად, საზეიმო და განსაკუთრებულ ვითარებაში აღნიშნეს კასპის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანებასთან /დირექტორი ლალი ჯანჯალაშვილი/ არსებული მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ისტორია-მხარეთმცოდნეობის წრის მოსწავლეებმა. საქმე ის გახლავთ, რომ დილაადრიან შეიკრიბნენ ბავშვები და არსებულ სოციალურ საწარმოს ესტუმრნენ. მოკლედ, მოსწავლეთა სახლის ბავშვებს ამჯერად ჩვენს ქალაქში კარგად ცნობილი საწარმო "წნული" მასპინძლობდა...

– მართალია, ეს არ გახლდათ ჩვენი პირველი სტუმრობა საწარმოში, ადრეც იყვნენ ბავშვები და სიმართლე გითხრათ ახლაც სიამოვნებით დამთანხმდნენ აქ წამოსვლაზე, – აცხადებს მოსწავლეთა სახლის ისტორია-მხარეთმცოდნეობის წრის ხელმძღვანელი ნანა მერებაშვილი, – უკვე დიდი ხანია არსებობს ჩვენს ქალაქში ეს სოციალური საწარმო, რომლის მიერ დამზადებული საყოფაცხოვრებო დანიშნულების ნივთებით უთუოდ მოიხიბლებით, უფრო მეტიც, გაგიკვირდებათ კიდეც.

საწარმოს ხელმძღვანელმა დავით პარკაძემ მოსწავლეებს საგულდაგულოდ დაათვალიერებინა ბუნებრივი მასალით დამზადებული უამრავი ლამაზი წნული: თვალისმომჭრელად გამოიყურებიან აქ დამზადებული სავარძლები და კოპწია ხელჩანთები, ულამაზესი ბრები, სხვადასხვა მოცულობის ლამაზი ფიგურები... ბავშვების ყურადღება მიიპყრო საამქროში დამონტაჟებულმა დაზგა-დანადგარებმაც. საამქროს ოსტატებმა თორნიკე და ვახტანგ გელიაშვილებმა მოსწავლეებს გააცნეს ამ საინტერესო დაზგების მუშაობის ტექნოლოგია და მარტივად აუხსნეს, თუ როგორ იჩარხება ესა თუ ის ფიგურა, რომლის მიხედვითაც იქსოვება ანუ იწვნება სხვადასხვა ფერის ლამაზი წნული.





საამქროში სტუმრობისას მოსწავლეები ძალიან დაინტერესდნენ, ამიტომაც ძმებმა დავით და თეიმურაზ პარკაძეებმა ბავშვებს ურჩიეს, თან შეაგულიანეს კიდეც, რომ შეისწავლონ ეს შესანიშნავი ხელობა, რომელიც ცხოვრებაშიც უთუოდ გამოადგებათ და დახმარებაც შესთავაზეს, სხვათა შორის, ბავშვებმა აქვე გაიცნეს "წნულის" შეგირდი გიორგი გარაყანიძე, რომელიც უკვე ორი თვეა, ეუფლება ამ ხელობას.

ეს საინტერესო, დაუვიწყარი დღე მოსწავლეებმა წმინდა გიორგის ეკლესიაში ლოცვით დაასრულეს.

**კასპის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანება.**

---



### შეუცნობელის კვალდაკვალ

## აუხსნელი, უცნაური, მოულოდნელი

**გამოგვეხმაურეთ, დაგვიკავშირდით**

ადამიანი სიცოცხლის განმავლობაში მრავალი უცნაური, მოულოდნელი თუ აუხსნელი მოვლენის მოწმე ხდება. უმეტეს შემთხვევაში არ ვიცით, ვის გავუზიაროთ ნანახი, ალბათ იმის შიშით, რომ შეიძლება არასწორად გაგვიგონ.

თუ ყოფილხართ მომსწრე აუხსნელი, უცნაური, შეუცნობელი მოვლენისა შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ამ ფაქტის ამსახველი ვიდეო, ფოტო მასალა და გაგვიმხილოთ საკუთარი ემოცია, შთაბეჭდილება.

მისი გაცნობისა და შესწავლის შემდეგ, თუ იგი საინტერესო იქნება ფართო აუდიტორიისათვის, მკითხველისათვის, გამოქვეყნდება გაზეთში რუბრიკით ,,შეუცნობელი." საჭიროების შემთხვევაში შეგვიძლია თქვენს მიერ შემოთავაზებული წერილი გადავცეთ ჟურნალ ,,ფენომენს,, და შესაბამისად ავტორი გაეცნოს ექსპერტთა შეფასებებსა თუ კომენტარებს. ჩვენ თქვენთან ერთად შევეცდებით გავარკვიოთ ტყუილ-მართალი. კითხვები ხომ იმისთვის არსებობს რომ პასუხის მოძიებისას გავიგოთ მეტი. ყველა მინიშნების უკან შეიძლება იმალებოდეს პასუხი ჩვენთვის საინტერესო კითხვებზე, მოვლენებზე.

# რელიგიური უმრავლესობის გეოგრაფია

მსოფლიოს რელიგიური სურათი ძალზე სწრაფად იცვლება, რასაც, უპირველესად, დიდი რელიგიების გავლენის რეგიონებში შობადობის დონეებს შორის არსებული განსხვავებები განაპირობებს (ასევე, ისიც გასათვალისწინებელია, რომ ხშირად ადამიანები რელიგიურ რწმენას იცვლიან).

მომდევნო ოთხი ათწლეულის განმავლობაში ქრისტიანები კვლავაც უდიდეს რელიგიურ ჯგუფად დარჩებიან, თუმცა ისლამის გავლენა უფრო სწრაფად გაიზრდება, ვიდრე ნებისმიერი სხვა ძირითადი მსოფლიო რელიგიისა. ეს აქტუალური ტენდენციები 2050 წლამდე შენარჩუნდება...

მუსლიმების რაოდენობა მსოფლიოში, ფაქტობრივად, ქრისტიანებისას გაუტოლდება. მართალია, ათეისტების, აგნოსტიკოსებისა და იმ ადამიანების რიცხვი, რომლებიც საკუთარ თავს არც ერთ რელიგიასთან არ აიგივებენ, აშშ-სა და საფრანგეთში გაიზრდება, მაგრამ დედამიწის საერთო მოსახლეობაში მათი წილი შემცირდება.

ბუდიზმის მიმდევართა რიცხვი დაახლოებით ისეთივე დარჩება, როგორიც 2010 წელს იყო, ხოლო ინდუიზმისა და იუდაიზმის აღმსარებელთა რაოდენობა გაცილებით მეტი იქნება, ვიდრე ახლაა.

ევროპაში მუსლიმთა რიცხვი მოსახლეობის საერთო რაოდენობის 10 პროცენტს მიაღწევს.

ინდოეთში უმრავლესობის რელიგიად კვლავაც ინდუიზმი დარჩება, თუმცა იქაური მუსლიმი მოსახლეობა მსოფლიოში ყველაზე მრავალრიცხოვანი იქნება და ინდონეზიაში მცხოვრები მუსლიმების რაოდენობას გადააჭარბებს.

აშშ-ში 2010 წელს ქრისტიანები მოსახლეობის სამ მეოთხედს შეადგენდნენ, 2050 წლისათვის ეს მაჩვენებელი ორ მესამედამდე შემცირდება; ხოლო იუდაიზმი ამ ქვეყანაში აღარ იქნება ყველაზე მრავალრიცხოვანი არაქრისტიანული რელიგია. მუსლიმთა რიცხვი იუდაიზმის აღმსარებლებისას გადააჭარბებს. ყოველი ათი ქრისტიანიდან ოთხი იცხოვრებს აფრიკაში, საჰარის სამხრეთით.

ეს რამდენიმე მნიშვნელოვანი ტენდენციაა მათ შორის, რომლებიც უახლესი დემოგრაფიული პროგნოზების სახით Pew Research Center-მა გამოაქვეყნა.

2010 წელს ქრისტიანობა მსოფლიოში უდიდესი რელიგია იყო, რომელიც სხვებს მნიშვნელოვნად უსწრებდა. ის 2,2 მილიარდ მიმდევარს ითვლიდა, რაც დედამიწის 6,9-მილიარდიანი მოსახლეობის თითქმის მესამედს (31 პროცენტს) შეადგენდა. მეორე ადგილზე ისლამი იყო - 1,6 მილიარდი მიმდევრით (23 პროცენტი). თუმცა, საუკუნის შუა წლებამდე ისლამი ქრისტიანობას თითქმის დაეწევა. მოსალოდნელია, რომ 2050 წლამდე დედამიწის მოსახლეობა 9,3 მილიარდს მიაღწევს, ე. ი. 35 პროცენტით გაიზრდება. ამავე პერიოდში მუსლიმთა რაოდენობა (მათ შორის, საშუალოდ, ძალიან ბევრი ახალგაზრდაა, რაც შობადობის მაღალ დონეს განაპირობებს), პროგნოზების მიხედვით, 73 პროცენტით მოიმატებს. როგორც ვარაუდობენ, ქრისტიანთა რიცხვიც უნდა გაიზარდოს, მაგრამ შედარებით ნელა (35 პროცენტი) - ეს კი დაახლოებით დედამიწაზე მოსახლეობის მატების ტემპს უტოლდება.

შედეგად, როგორც Pew Research Center წინასწარმეტყველებს, 2050 წელს მუსლიმური რელიგიის მიმდევართა რაოდენობა 2,8 მილიარდს მიაღწევს (რაც მსოფლიო მოსახლეობის 30 პროცენტი იქნება) და თითქმის გაუტოლდება ქრისტიანთა რიცხვს - 2,9 მილიარდს (ე. ი. 31 პროცენტს); შესაძლოა ეს კაცობრიობის ისტორიის მანძილზე პირველად მოხდეს.

ბუდიზმის გამოკლებით, ყველა მსოფლიო რელიგია უახლოესი მომავალი ათწლეულების განმავლობაში ზრდის ტენდენციას ამჟღავნებს. დედამიწაზე ბუდისტების რაოდენობა კი თითქმის იმდენივე დარჩება, რამდენიც ახლაა. ამის მიზეზი შობადობის დაბალი მაჩვენებელია; ასევე, თვით მოსახლეობის მცდელობები და გატარებული ღონისძიებები ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა ჩინეთი, ტაილანდი და იაპონია.

ინდუსების რაოდენობა მთელ მსოფლიოში, პროგნოზის მიხედვით, 34 პროცენტით გაიზრდება; დღესდღეობით მათი რიცხვი მილიარდს ცოტათი აჭარბებს, ხოლო 2050 წლისთვის 1,4 მილიარდს მიაღწევს. ე. ი. დაახლოებით ისევე გაიზრდება, როგორც დედამიწის მოსახლეობა.

მოსალოდნელია, რომ იუდაიზმის მიმდევრების რაოდენობა (ყველაზე მცირერიცხოვანი რელიგიური ჯგუფი, რომელთან მიმართებითაც ცალკე პროგნოზი გაკეთდა) 16 პროცენტით მოიმატებს და 2010 წელს აღრიცხული 14 მილიონიდან 2050 წლისთვის 16,1 მილიონამდე გაიზრდება.

2050 წლის შემდეგ?

Pew Research Center-ის ანგარიში გვამცნობს, როგორ შეიცვლება ჩვენს პლანეტაზე რელიგიური ლანდშაფტი, თუკი დღესდღეობით არსებული აქტუალური დემოგრაფიული ტენდენციები კვლავაც ძალაში დარჩება. თუმცა, წლიდან წლამდე გაუთვალისწინებელ გარემოებათა ალბათობა არ მცირდება - ომები, შიმშილი, ეპიდემიები, ტექნოლოგიური ინოვაციები, პოლიტიკური ძვრები და ა.შ. ამ ყველაფერმა შესაძლოა ამა თუ იმ რელიგიური ჯგუფის რაოდენობა გაზარდოს ან შეამციროს; მაგრამ იმ სირთულეების გათვალისწინებით, რომლებიც თან ახლავს უფრო შორეული მომავლის პროგნოზირებას, 2050-ის შემდგომი სავარაუდო წინასწარმეტყველებები მეცნიერულ საფუძვლებს მოკლებულია.

✦ პროგნოზები რეგიონებისა და ქვეყნების თაობაზე

ზოგადი მსოფლიო პროგნოზის გარდა, ზემოხსენებული ანგარიში იმ რელიგიურ ცვლილებებზეც გვიამბობს, რომლებიც 198 ქვეყანასა და ტერიტორიას შეეხება - ეს ის გეოგრაფიული ერთეულებია, სადაც 100 ათასზე მეტი ადამიანი სახლობს; სწორედ ასეთ ტერიტოტიებზე ცხოვრობდა 2010 წელს მსოფლიო მოსახლეობის 99,9 პროცენტი.

ევროპა - ეს გახლავთ ერთადერთი რეგიონი, რომლის მოსახლეობაც, მთლიანობაში, შემცირდება.

უახლოეს ათწლეულებში ევროპელ ქრისტიანთა რიცხვი 100 მილიონით დაიკლებს - 553 მილიონიდან 454 მილიონამდე.

მართალია, ქრისტიანები მაინც ევროპის ყველაზე დიდ რელიგიურ ჯგუფად დარჩებიან, მაგრამ, პროგნოზის მიხედვით, ისინი მოსახლეობის სამი მეოთხედის (ბოლო მონაცემებით) მაგიერ ორ მესამედზე ნაკლებნი იქნებიან.

მოსალოდნელია, რომ 2050 წლისათვის ევროპაში მცხოვრებ ადამიანთა თითქმის მეოთხედი ნაწილი (23 პროცენტი) საკუთარ თავს არც ერთ რელიგიას არ მიაკუთვნებს, ხოლო ამ რეგიონში მუსლიმთა რაოდენობა მთელი მოსახლეობის 5.9 პროცენტიდან (2010 წლის მონაცემი) 10 პროცენტამდე გაიზრდება. ამავე პერიოდში ევროპაში ინდუიზმის მიმდევართა რაოდენობა, ძირითადად იმიგრაციის ხარჯზე, თითქმის გაორმაგდება - 1,4 მილიონზე ცოტა ნაკლებიდან (0,2 პროცენტი) 2,7 მილიონამდე (0,4 პროცენტი). როგორც ჩანს, იგივე ტენდენცია ევროპაში ბუდისტებსაც შეეხება; პროგნოზის მიხედვით, მათი რიცხვი 1,4 მლნ-ის მაგიერ 2,5 მლნ იქნება.

ჩრდილოეთ ამერიკაში მუსლიმები და სხვა რელიგიების (ქრისტიანობის გარდა) წარმომადგენლები იმ ჯგუფს შეადგენენ, რომელიც ძალიან სწრაფად იზრდება.

მაგალითად, აშშ-ის მოსახლეობის მატების პროგნოზის თანახმად, იმ ადამიანთა რიცხვი, რომლებიც სხვა რელიგიებს აღიარებენ, გაორმაგდება და უფრო მეტიც გახდება - 0,6 პროცენტიდან 1,5-მდე. აშშ-ის მოსახლეობაში ქრისტიანების წილი (2010 წ. 78 პროცენტი) შემცირდება (2050 წ. 66 პროცენტი) და, შეერთებულ შტატებში, სავარაუდოდ, უფრო მეტი მუსლიმი იცხოვრებს (2,1 პროცენტი), ვიდრე იუდაიზმის მიმდევარი (1,4 პროცენტი).

✦ რელიგიური უმრავლესობის ცვლილება

ზემოხსენებული კვლევის პროგნოზით, 2050 წელს რელიგიური უმრავლესობის გეოგრაფია, 2010 წელთან შედარებით, სახეს იცვლის.

იმ სახელმწიფოების რაოდენობა, რომლებშიც ქრისტიანები ყველა სხვა რჯულის მიმდევრებს ჭარბობენ, 159-იდან 151-მდე შემცირდება; ამ რელიგიის აღმსარებლების წილი საერთო მოსახლეობის 50 პროცენტს ჩამოსცდება - ეს ქვეყნებია: ავსტრალია, ბენინი, ბოსნია და ჰერცოგოვინა, საფრანგეთი, ნიდერლანდები, ახალი ზელანდია, მაკედონია და დიდი ბრიტანეთი.

მოსალოდნელია, რომ 51-ზე მეტ ქვეყანაში 2050 წლისათვის მუსლიმები მოსახლეობის 50 პროცენტს შეადგენენ, რაც ორჯერ მეტია, ვიდრე 2010 წლის ანალოგიური მაჩვენებელი. მაკედონიის რესპუბლიკასა და ნიგერიაში ისინი რელიგიურ უმრავლესობად იქცევიან, თუმცა ნიგერიის ქრისტიანი მოსახლეობა მაინც მრავალრიცხოვანი იქნება; მეტიც, პროგნოზის მიხედვით, ნიგერიელი ქრისტიანები, თავიანთი რაოდენობით, 2050 წლისთვის მსოფლიოში მესამე ადგილს დაიკავებენ, აშშ-ისა და ბრაზილიის შემდეგ.

სავარაუდოა, რომ 2050 წლისთვის საფრანგეთის, ახალი ზელანდიისა და ნიდერლანდების მოსახლეობის ყველაზე დიდი ნაწილი არც ერთ რელიგიასთან მიკუთვნებულობას არ აღიარებს.

ზემოხსენებული პროგნოზები იმ ხალხის რაოდენობაზე დაყრდნობით გაკეთდა, რომლებიც საკუთარ თავს ამა თუ იმ რელიგიურ ჯგუფს მიაკუთვნებენ, მიუხედავად იმისა, რამდენად იცავენ შესაბამის წესებს ცხოვრებაში.

ის, თუ რას ნიშნავს იყო ქრისტიანი, მუსლიმი, იუდეველი ან სხვა რელიგიის მიმდევარი, ყოველ ადამიანს თავისებურად ესმის, სხვადასხვა ქვეყანასა და ეპოქაშიც ეს ფენომენი ურთიერთგანსხვავებულია.

✦ მსოფლიო რელიგიების გავრცელების რუკა

დიზაინერმა, ბლოგერმა და მოგზაურმა კერი ოსგუდმა შექმნა რუკა, რომელზეც ნათლად ჩანს, სხვადასხვა რელიგიის რამდენი მიმდევარი ცხ-



ოვრობს ამა თუ იმ ქვეყანაში.

ოსგუდმა საფუძვლად გამოიყენა უფრო მარტივი რუკა, რომელზეც ნაჩვენებია მოსახლეობის რიცხოვნობა სხვადასხვა ქვეყანაში.

World Religion Database ვებგვერდიდან აღებული მონაცემები ბოსტონის



უნივერსიტეტის კულტურის, რელიგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების ინსტიტუტის თანამონაწილეობით შეიქმნა.

აი, რას ვხედავთ ოსგუდის რუკაზე: ათეისტების რიცხვი ყვე-



ლაზე მეტია ჩინეთში; ქრისტიანებისა - აშშ-ში; ისლამურ სამყაროში რიცხობრივ უპირატესობას ინდონეზია და პაკი-



სტანი ერთმანეთს ეცილებიან; ბუდიზმის მიმდევართა რაოდენობით



ერთიმეორეს ტოლს არ უდებენ იაპონია და ტაილანდი; იუდაიზმის ყველაზე მეტი აღმსარებელი კი ისრაელში ცხოვრობს.

# ხსოვნის ტურნირი




ქართული სპორტის სახეობების პოპულარიზაციისა და აღორძინების მიზნით კასპის მუნიციპალიტეტში უამრავი სპორტული ღონისძიება იმართება..

სპორტული წლის განმავლობაში ეწყობა სახელობითი ტურნირები ქართულ



ჭიდაობაში, ფეხბურთში, კალათბურთში, შაშში...

მიმდინარე წლის 23 სექტემბრიდან 30 სექტემბრის ჩათვლით მუნიციპალიტეტის მასშტაბით გაიმართა ძალიან საინტერესო და სანახაობრივი სპორტული ღონისძიება ეგიდით ევროპის სპორტული კვირეული, რომლის საერთო ხელმძღვანელი გახლდათ მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის სპეციალისტი გოდერძი მარიდაშვილი, ხოლო ამ სპორტული კვირეულის ერთგვარი აკორდი იყო კასპში გამართული /უკვე მეორედ ჩატარდა/ სახელობითი ტურნირი მაგიდის ჩოგბურთში, რომელიც კასპელ გიორგი /ჩინელა/ გოგიაშვილის ხსოვნას მიეძღვნა.

— საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ ჩვენს რაიონში მაგიდის ჩოგბურთმა სპორტის დიდი მოამაგისა და პოპულარიზატორის გიორგი /ჟორა/ ოთარაშვილის თაოსნობითა და ხელშეწყობით აიდგა ფეხი, — იხსენებს წლების წინანდელ საინტერესო ისტორიებს კასპის მუნიციპალიტეტის სპორტის დაწესებულებების გაერთიანების სპეციალისტი ტარიელ ბეგლარაშვილი, — საქმე ის გახლავთ, რომ ჩვენს ქალაქში არსებულ საზაფხულო კლუბში გამართული სპორტული ღონისძიებები სწორედაც რომ მისი ორგანიზებით ეწყობოდა, რომელშიც ჩართული იყო მთელი ჩვენი რაიონისა და ქალაქის მოსწავლე-ახალგაზრ-



დობა, სხვათა შორის, კასპელი მაგიდის ჩოგბურთელები მონაწილეობდნენ სპორტსაზოგადოება "განთიადისა" და "კოლმეურნეს" მიერ ჩატარებულ შეჯიბრებებში და თქვენ წარმოიდგინეთ, ძალიან ხშირად გარკვეულ წარმატებებსაც აღწევდნენ. ამას წინათ, ვეტერანმა მაგიდის ჩოგბურთელმა ჟორა ჯალალმა გაიხსენა გასული საუკუნის 70 - 80-იანი წლები და სიამაყით განაცხადა, რომ "აქაური სპორტსმენები აქტიურად ვმონაწილეობდით რესპუბლიკურ შეჯიბრებებში და ხშირად ვხდებოდით პრიზიორებიც, ვმარცხდებოდით მხოლოდ და მხოლოდ თბილისისა და აჭარის მაგიდის ჩოგბურთელებთან".

ამრიგად, წინა თაობის მაგიდის ჩოგბურთელებმა გენადი ხაჩიძემ, ზურა ქაძემ, გიორგი გახელაძემ, ცისანა დურგლიშვილმა, დალი ხუროშვილმა, დარეჯან ხუციშვილმა, თამრიკო იაშვილმა და სხვებმა ჩაუყარეს საფუძველი სპორტის ამ ლამაზი სახეობის განვითარებას კასპის რაიონში, ხოლო მათ მიერ დაწყებული სპორტული ესტაფეტა მომდევნო წლებში წარმატებით გააგრძელეს გიორგი /ჩინელა/ გოგიაშვილმა, ანდრო კენჭოშვილმა, მერაბ მერებაშვილმა, გიული ენუქიძემ, ნელი კაციაშვილმა, ქეთინო გზირიშვილმა და სხვებმა.

გიორგი /ჩინელა/ გოგიაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილმა ტურნირმა, რომელიც შარშანდელთან შედარებით მასშტაბური და რეზონანსულიც იყო, დიდი ინტერესი და მოწონება დაიმსახურა. მამაკაცებში შეჯიბრი ორ ასაკობრივ ჯგუფში — ახალგაზრდებში /40 წლამდე/ და ვეტერანებში მოეწყო. ახალგაზრდებში 12 მონაწილე იყო, ხოლო ვეტერანებში 15. საგულისხმო გახლავთ ის ფაქტიც, რომ ამ სახელობით ტურნირში ცალკე გოგონებს შორისაც მოეწყო შეჯიბრი, რომელშიც მონაწილეობდა ხუთი ჩოგბურთელი. ერთი სიტყვით, ტურნირში ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ კასპელი, ახალციხელი, ნოსტელი, მეტეხელი, ქვემო გომელი ჩოგბურთელები. გოგონებში პირველობა არავის დაუთმო ნოსტელმა ნინო ელიოზიშვილმა, რომელმაც ფინალში დაძაბულ ბრძოლაში კასპელი თათია მარქარაშვილი 2:1 დაამარცხა. ახალგაზრდებში საპრიზო ადგილები შემდეგნაირად გადანაწილდა: პირველი საპრიზო ადგილი წილად ხვდა კასპელ თორნიკე აბულაძეს, მეორე ადგილის მფლობელი გახდა ახალციხელი გიორგი პაპიაშვილი, ხოლო მესამე ადგილი კასპელმა ბექა სოზიაშვილმა მოიპოვა... ემოციური, დაძაბული და



ამავე დროს, სანახაობრივად საინტერესო იყო შეჯიბრი ვეტერანებს შორის. ამ ასაკობრივ ჯგუფში შეჯიბრი წრიული სისტემით ჩატარდა. ყველაზე მეტი მოგება ჰქონდა და ტურნირის ჩემპიონობა არავის დაუთმო გამოცდილმა ახალქალაქელმა ჩოგბურთელმა გიორგი ნინოშვილმა, რომელმაც დაძაბულ ფინალურ შეხვედრაში ახალციხელი შამილ ჯანგირაშვილი დაამარცხა და მეორედ მოიპოვა გამარჯვებულის ტიტული. მესამე საპრიზო ადგილის მფლობელი გახდა კასპელი თამაზ ჯლანტიაშვილი.

ტურნირში გამარჯვებულებსა და პრიზიორებს გადაეცათ შესაბამისი ხარისხის სიგელები და ფასიანი საჩუქრები. ძალიან საინტერესო და შთამბეჭდავი, დასამახსოვრებელი გახლდათ ჩოგბურთელთა დაჯილდოების ცერემონიალი... ახალგაზრდებში გამარჯვებულებს და პრიზიორებს სიგელები და ფასიანი საჩუქრები გადასცეს გიორგი /ჩინელა/ გოგიაშვილის შვილიშვილებმა, პატარა გიორგი და ნიკა გოგიაშვილებმა, გამარჯვებულ ჩოგბურთელებს, ტურნირის მონაწილეებს გულითადად მიესალმა და წარმატებები მიულოცა კასპის მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილემ თამაზ ტატანაშვილმა, რომელმაც დადებითად შეაფასა ჩატარებული სპორტული ღონისძიება და მადლობა გადაუხადა ორგანიზატორებს /თეა ხორბალაძე, გოდერძი მარიდაშვილი, შოთა გოგიაშვილი/ გაწეული შრომისათვის.

ტურნირის დამთავრების შემდეგ ერთმანეთს გულღიად ულოცავდნენ გამარჯვებას ასპარეზობაში მონაწილე ჩოგბურთელები, იყო საზეიმო, ამაღლებული განწყობა...

კასპის მუნიციპალიტეტის სპორტის დაწესებულებების გაერთიანება.

## ვიმეგობროთ

# ... თუ მშობლებს არ სცალიათ

კარგა ხანია ვცდილობთ თქვენთვის საინტერესო თემებზე გესაუბროთ, უფრო სწორად, ისეთ რამეებზე და ისეთ ვინმეებზე, რომელთა შესახებ მშობლებს ეზარებათ (ან არ სცალიათ!) რომ გიამბონ. თქვენ ახლა უფრო ბევრი იცით ვიდრე შარშან და თუ ხშირად წაიკითხავთ ჩვენს გაზეთს, მართლაც, ბევრ საინტერესო და სასიამოვნო სიახლეს შეიტყობთ მსოფლიოში გაფანტულ საბავშვო მუზეუმებსა თუ ატრაქციონებზე, წყალქვეშა სასახლეებსა და მალულ საგანძურზე...

წინ მოულოდნელად საინტერესო შეხვედრები გელოდებათ, ოღონდ ამისათვის აუცილებლად უნდა გამოიწეროთ გაზეთი "ახალი განთიადი"!

მაშ ასე, მობრძანდით რედაქციაში! გააფორმეთ ხელმოწერა, დატოვეთ თქვენთვის საინტერესო შეკითხვები და უახლოეს ნომერში მიიღებთ პასუხს.

„კეხურა„



შეგვიძლიათ, მოგვაწოდოთ თქვენი შვილების, შვილიშვილების ორიგინალური ფოტოები, ნახატები, აზრები. ისინი გამოქვეყნდება ჩვენს გაზეთში. „კეხურა„ ელოდება გამოხმაურებას.

# სპორტული ინფრასტრუქტურა დინამიკაში

კასპში მალე დასრულდება ფეხბურთის ცენტრალური და მინიმოედნების მშენებლობა და საფეხბურთო სკოლის შენობის რეაბილიტაცია. პროექტის განხორციელების გასახდელი, სამსაჯო, სამედიცინო და დელეგატის ოთახები, განათების თანამედროვე და გათბობის ჰელიო (მზის ენერგია) სისტემები.

აღნიშნული სპორტული ბაზა მუნიციპალიტეტში ხელს შეუწყობს ფეხბურთის განვითარებას, ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას და სპორტში აქტიურ ჩართულობას.

ცენტრალური (მუნიციპალური განვითარების ფონდი) და ადგილობრივი ხელისუფლების მხარდაჭერითა და დაფინანსებით



შედეგად იქნება უმაღლესი ხარისხის ხელოვნურ საფარიანი მოედანი, 520 ადამიანზე გათვლილი მაყურებელთა ტრიბუნა, 4 კასპის მოსახლეობა მართლაც, საუკეთესო სპორტული ობიექტით ისარგებლებს.



დალი კორკომაშვილი, კასპის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.

# სიახლე ჩემს ქალაქში

კასპის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის და კულტურის დაწესებულებების გაერთიანების დაკვეთით კასპის კულტურის ცენტრის მიმდებარე ტერიტორიაზე მოიხატა ხეები. ქალაქის მოხატვა და გაფერადება გაგრძელდება ...



ხეები მოხატა მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი ხატვის წრის ხელმძღვანელმა მარიამ თათრიშვილმა.

ველოდებით საინტერესო და პოზიტიურ სიახლეებს.



იყიდეთ "ახალი განთიადი"!

# კულინარიული მოგზაურობა წარსულში

## ,,კახეთო, ჩემო კახეთო!,,

შემოდგომაზე კახეთი ჯადოსნური ზღაპრის დასასრულს ჰგავს - თავისი განწყობით, ფერებით, მწიფობითა და სალხინო სუფრით და ამ ყველაფრის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი რთველია - ნამდვილი დღესასწაული. ყურძნის კრეფა - აქ რიტუალური საქმეა. კახელები მას სექტემბრის ბოლოს იწყებენ. რთველი ორი-სამი კვირა გრძელდება. მაგრამ მანამდე ამ ზეიმისთვის დიდი ამბით ემზადებიან - რეცხავენ ქვევრებს, ასუფთავებენ მარნებს, წნავენ გოდრებს - ხის წნელების დიდ კალათებს. რთველი ერთი დიდი, საყოველთაო შრომაა.

კახელები დილით ადრე დგებიან და მთელი დღე კრეფენ ყურძენს (სხვათა შორის, სტუმრებსაც ამუშავებენ), მოსავალს გოდრებით მარნებში ეზიდებიან და ღვინის წურვაც იწყება. ძველად ამ რიტუალს ხალხური სიმღერებიც თან ახლდა, რომლებიც დღესდღეობით ქართულ ფოლკლორს საუკეთესო ნიმუშებად შემორჩა. დღის ბოლოს მუშაობის დამთავრება იმას არ ნიშნავს, რომ რიტუალი დასრულდა. პირიქით - იშლება სუფრა და იწყება ქეიფი.

კახური სამზარეულო ერთი



რადგან დასავლეთ საქართველოსგან განსხვავებით, აქ ნაკლებ სანელებლებს იყენებენ, მაგრამ, გარწმუნებთ, თავისი კულინარიული მახასიათებლებით ეს ყველაფერი გენიალურად მარტივი და უგემრიელესია.

როცა რთველის ორი კვირა გაივლის, კახეთში ღვინის ფესტივალი იმართება ხოლმე ხალხური ცეკვისა და სიმღერის კონცერტების, ღვინისა და ტრადიციული კერძების დეგუსტაციის თანხლებით.

მწვადის, ჩაქაფულისა და სხვა ხორციანი კერძების შეუდარებელი ხიბლი მწვადი, ანუ შემწვარი ღორის, ბატკნის ან ხბოს ხორცი მსოფლიოს უამრავ ქვეყანაში გვხვდება, თუმცა, მისი მომზადების ხერხები სხვადასხვანაირია.

საქართველოს კუთხეებში ხორცს ლითონის შამფურების ნაცვლად თხილის ჯოხებზე აგებენ, რაც მის არომატს კიდევ უფრო გამორჩეულს ხდის. აქაური მწვადის გემო იმ მარინადის, ბასტურმის, დამსახურებაცაა, რომელშიც ხორცი შეწვამდე რამდენიმე საათის განმავლობაში ინახება. ის ხახვის, შავი პილპილისა და მარილისგან მზადდება. უგემრიელესი კახური მწვადი რომ კიდევ უფრო შთამბეჭდავი გახდეს, შეგიძლიათ ბროწეულის წვენთან ერთად მიირთვათ ან ტყემლის საწებელი შეუხამოთ, თუმცა კახელები ამბობენ, რომ მწვადს არაფერი სჭირდება მისაყოლებლად, რა თქმა უნდა, ღვინის გარდა.

საერთოდ, კახელებს ხორცი ძალიან უყვართ და ამიტომ აქაურ სამზარეულოში ხორციანი კერძები შეუცვლე-



შეხედვით უბრალოა - მსუყე, ბარაქიანი და სახასიათო. მისი სიმარტივე გამოგზაურებთ წარსულში, როცა ადამიანებს არც დრო ჰქონდათ და არც საშუალებები, რომ კულინარია დაეხვეწათ. ან იქნებ ეს კახელების გაუპრანჭავი ბუნების დამსახურებაა. თითქმის ყველა კერძში შენარჩუნებულია პროდუქტის პირველყოფილი გემო, მწვადს ხის ნაკვერჩხალზე წვავენ, თავად ხორცი კი შამფურებზეა აგებული. კახური მწვადის გემო ნამდვილად განსაკუთრებულია, რადგან აქ ხორცს წალამზე, გამომშრალი ვაზის ტოტების ნაკვერჩხალზე მოგიმზადებენ. თუ პიკნიკი შუამთის ტყეში იმართება, შეიძლება გირჩებზე შემწვარი მწვადი შემოგთავაზონ. ხშირად, კახეთში ლია. მათ მიაჩნიათ, რომ თუ სტუმარს პატივს სცემ, აუცილებლად ხორცით უნდა გაუმასპინძლდე. ეს მარტივი კერძები უნიკალური გემოთი ხასიათდება. თუ კახეთში მოგზაურობთ, აუცილებლად გასინჯეთ ხაშლამა. ეს სხვადასხვა სახეობის სანელებლებსა და მწვანილებში რბილად მოხარშული ხორცია, რომელსაც ახალი, არომატული მწვანილით შეკმაზულს, ნიორთან ერთად მოგართმევენ. ხაშლამისთვის საქონლის ხორცის განსაკუთრებულ ძვლიან ნაჭრებს იყენებენ. რაც უფრო ცხიმიანი და ხრტილიანია ხორცი, მით გემრიელია ხაშლამა.

კახური კულინარიის ნამდვილი შედევრი - ჩაქაფული ხბოს ან ბატკნის ხორცისგან მზადდება. ხორცი ტყემალთან, ტარხუნასა და სხვა ბევრნაირ მწვანილთან ერთად იხარშება. მომჟავო და მცენარეული არომატები იდეალურ შეხამებას ქმნის ხორცის გემოსთან. მსოფლიო კულინარიის სპეციალისტები ჩაქაფულს კაცობრიობის კულინარიის ერთ-ერთ საუკეთესო კერძად მიიჩნევენ, ამიტომ კახეთიდან ისე ნუ წახვალთ, თუ ამ ნახევრად წვნიან კერძს ქვევრის რქაწითელთან ერთად არ მიირთმევთ.

ასევე გასინჯეთ ქათმის წვნიანი, ჩიხირთმა, რომელიც ნაბახუსევზე განსაკუთრებით გემრიელია. მას უნიკალურ გემოს ხახვი, მწვანილი, ფქვილი, ძმარი და კვერცხი ანიჭებს. ასევე დააგემოვნეთ - კახური ტოლმა, რომლის წარმომავლობასაც კავკასიაში მცხოვრები რამდენიმე ერი იჩემებს. ეს ალბათ სრულიად ჩვეულებრივი გემრიელი კერძი იქნებოდა, ხორცის ფარშს ნორჩ ვაზის ფოთოლში რომ არ ახვევდნენ, რაც მას თავისებურ სიმწკლარტესა და არომატს სძენს. ვაზის ფოთლის ტოლმას მაწონთან ერთად მოგ

დასასრული გვ-9.

# კულინარიული მოგზაურობა წარსულში

..კახეთო, ჩემო კახეთო!..



**დასასრული.**

ართმევენ. უგემრიელესი კახური ხორციანი კერძების ჩამონათვალშია ასევე ბოზბაში და შილა ფლავი, რომლებიც, სამწუხაროდ, დღესდღეობით ძირითადად სამგლოვიარო სუფრებისთვის მზადდება. ბოზბაში ცხვრის გუფთების ცხიმიანი წვნიანია, შილა ფლავი კი ცხვრის ხორცის რიზოტო. მისი განსაკუთრებულობა ისაა, რომ ცხვრის ხორცს საქონლის კონცენტრირებულ ბულიონში მწვანილეულთან ერთად ხარშავენ, რაც მას განსაკუთრებულ გემოს სძენს; მერე კი ბრინჯს, სანელებლებსა და შავ პილპილს უმატებენ; ზოგჯერ შილა ფლავში გუდის ყველსაც ჩააჭრიან ხოლმე. თუ შემთხვევით ამ ორი კერძის მირთმევა მოგიწევთ, ეს დაუვიწყარი კულინარიული გამოცდილება იქნება, განსაკუთრებით, ცხიმიანი სამზარეულოს მოყვარულთათვის.

✦ გუდის ყველი - არაჩვეულებრივი, ნოყიერი დელიკატესი

კახეთში განსაკუთრებით უყვართ თუშური გუდის ყველი, რომელიც ალპურ საძოვრებზე გაზრდილი ცხვრის რძისგან მზადდება. ის ძალიან ცხიმიანია, მძაფრი სუნით გამოირჩევა და, რაც მთავარია, ისეთი სპეციფიკური გემო დაჰკრავს, რომელიც მას ყველა სხვა ქართული ყველისაგან გამოარჩევს. თუშები რძის დამუშავების შემდეგ ყველის მასას ახალგაზრდა ცხვრის ტყავისგან შეკერილ გუდაში ათავსებენ, რომლის შიდა პირიც ბეწვიანია. მას შემდეგ, რაც ტყავის გუდას თავს მოუკრავენ, ჰაერის მოძრაობისთვის, ე. წ. განიავებისთვის მას ხის წვრილ ტოტებზე ათავსებენ. დროდადრო შიგნით ამატებენ მარილის, წყლისა და ძმრის ნაზავს, თავად გუდას კი ატრიალებენ, რათა ყველის თავმა მრგვალი ფორმა მიიღოს და სიმლაშე თანაბრად გადანაწილდეს. გუდის ყველს ძალიან უხდება თეთრი მშრალი კახური ღვინო და, ზოგადად, ქვევრის ღვინოები. ის განსაკუთრებულ ახალ-ახალ არომატებს იკრებს, რაც უფრო ძველდება. თუ გუდის ყველს ცხელ-ცხელ კახურ თონის პურს შეატანთ, მასში სრულიად განსხვავებული გემოების ერთობლიობას აღმოაჩენთ.

✦ ლოქო ქინძმარში - დახვეწილი თევზეული

კახეთში მდინარე ალაზანი მიედინება, რომელშიც ლოქოს გამორჩეული სახეობა ბინადრობს. ალაზნის ლოქო მთელ საქართველოში



განთქმული თევზია. ლოქო ქინძმარში ძალზე მარტივად მზადდება, მაგრამ ამ შემთხვევაშიც კულინარიის ნამდვილ შედევრს ვიღებთ. ლოქოს



ნაჭრებს მწვანილების, წყლის, შავი პილპილის მარცვლებისა და თეთრი შაბის ნაზავში ხარშავენ, მერე კი - თავისივე ბულიონის, ქინძის, თეთრი ძმრისა და წყლის სოუსში ალაგებენ და 12 საათს ტოვებენ. თევზი უგემრიელესი სურნელითა და გემოთი იჟღინთება. ეს მსუბუქი, ძალზე დახვეწილი კერძია და გირჩევთ, აუცილებლად გასინჯოთ.

✦ შოთის პური

კახური სამზარეულოს დელიკატესები ალბათ ასეთი გემრიელი არ იქნებოდა, შოთის პური რომ არ არსებობდეს, რომელსაც კახელები ყველა კერძს ატანენ.

ერთი სიტყვით, ის სუფრის განუყრელი თანამგზავრია. ამ მოგრძო ფორმის პურს თონეში აცხობენ. თონეები, გამომწვარი თიხისგან დამზადებული თავლია ცილინდრული ფორმის საცხობი კამერები, მიწაში მთლიანად ან ნახევრადაა ჩადგმული. გამოსაცხობად გახურებულ თიხის შიდა ზედაპირზე ცომს აკრავენ.

შოთი წაგრძელებული და რკალისებურია, შუაში რბილი ცომითა და ხრაშუნა ბოლოებით. შოთის სხვადასხვა ნაწილი სხვადასხვანაირ გურმანულ სურვილებს დაგიკმაყოფილებთ - რბილი ნაჭრები იდეალურია მსუყე სადილისას, ხოლო თხელი, მტვრევადი ნაპირები უბრალო სიმსუნაგის შემოტევისასაც გამოდგება; ის მსუბუქი წახემსების შესანიშნავი საშუალებაცაა. არსებობს მოსაზრება, რომ მისი სახელწოდება შოთი წარმართულ მთვარის ღვთაებას უკავშირდება და ამ პურს ოდესღაც სარიტუალო დანიშნულება ჰქონდა. თუ კახურ ხორცს ან კერძებს ამ პურთან ერთად მიირთმევთ, მიხვდებით, რომ მათი გემო კულინარიის სრულიად ახალ განზომილებას გთავაზობთ.

✦ კახური ღვინო - მსოფლიოში უძველესი

მშრალი, ნახევრად მშრალი, ტკბილი, ნახევრად ტკბილი, თეთრი თუ წითელი - კახეთში ნებისმიერი სახეობის ღვინოს დააგემოვნებთ. რაც მთავარია, ეს ღვინოები მრავალსაუკუნოვანი, ტრადიციული მეთოდით მზადდება და ინახება მიწაში ჩადგმულ, უნიკალურ თიხის ნაკეთობაში - ქვევრში, რომელიც იუნესკოს კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაშია. ამ მეთოდით შენახული ღვინის არომატი მეტად მდიდარია, ვიდრე კასრში დაძველებულისა. ქართული ღვინო მსოფლიოს უძველეს ღვინოდ აღიარეს და ამ ფაქტს წინ უამრავი სამეცნიერო კვლევა და ანალიზი უძღოდა. კახური ღვინის გასინჯვა ახლა



უკვე უძველეს ეპოქებში მოგზაურობის ტოლფასია. კახეთში ღვინის დასამზადებლად რთველის დროს მოკრეფილი, სრულად დამწიფებული ყურძნის ნაყოფი და კლერტი გამოიყენება. სწორედ ეს უკანასკნელი, თავისი მინერალური ნივთიერებებითა და ქიმიური შემადგენლობით ანიჭებს კახურ ღვინოს იმ თვისებებსა და არომატს, რომლითაც ის უალტერნატივოა. ღვინოს ოდესღაც ტრადიციულ ქვის ან ხის ნავისებურ მოწყობილობაში - საწნახელში ხალხური სიმღერების თანხლებით, შიშველი ფეხებით წურავდნენ, თუმცა ღვინის დამზადების ეს ტექნოლოგია დღეს აღარ გამოიყენება. რაც მთავარია, კახელ გლეხებს ქვევრებიან მარანში პატარა მაგიდა უდგათ იმ შემთხვევებისთვის, როცა ღვინის დეგუსტაცია ნადიმად გადაიქცევა ხოლმე.

შეეცადეთ, აუცილებლად მიირთვათ სხვადასხვა ჯიშის ყურძნისგან დაწურული ღვინოები, რომელთა შორის გამორჩეულია საფერავი, რქაწითელი, ხიხვი , ქისი, მანავის მწვანე და ა. შ.

✦ ზეთი, რომლის გემოც სხვას არ ჰგავს

კახური მზესუმზირის ზეთით შეკმაზულ სალათას თუ გასინჯავთ, აუცილებლად შენიშნავთ მის მკვეთრად განსხვავებულ არომატს. ეს ზეთი სპეციფიკური გემოთი და სურნელით გამოირჩევა, ასევე, ბლანტია და მუქი შეფერილობისაა. კახური ზეთი არარაფინირებულია, მასში მზესუმზირის სასარგებლო თვისებები, ვიტამინები და ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებები სრულადაა შენარჩუნებული. შესაძლოა, თავიდან მისი არომატი ზედმეტად მძაფრადაც კი მოგეჩვენოთ, მაგრამ მალევე შეიგრძნობთ ამ ზეთის განუმეორებლობასა და თვითმყოფადობას. რაც მთავარია, მას ვერც ერთ მანამდე გასინჯული ზეთის გემოს ვერ მიამსგავსებთ. ამ დელიკატესისა და კახური ძმრისგან დამზადებული სოუსი თუ დრესინგი ბოსტნეულის ნებისმიერ სალათას ძალიან უხდება.

✦ თათარა და ჩურჩხელა

თათარა ანუ ფელამუში (როგორც მას საქართველოს სხვა კუთხეებში უწოდებენ) კახური ტკბილეულია - ერთგვარი ტკბილი ფაფა, რომელსაც, რა გასაკვირია და, ყურძნის წვენისგან ამზადებენ. ფელამუშისთვის თეთრი ყურძნის წვენს (ზოგჯერ ტკბილ ღვინოს) მანამდე ადუღებენ, სანამ ის არ განახევრდება და ძალიან არ დატკბება - ეს მშვენიერი სითხე ბადაგია, რომელიც შეგიძლიათ ისედაც დალიოთ. ბადაგს ერთი დღის შემდეგ საცერში ატარებენ, კვლავ ადუღებენ და თან ხორბლის ფქვილს ამატებენ. დუღილის, ხანგრძლივი და განუწყვეტელი მორევის შემდეგ სითხე თანდათან სქელდება და საბოლოოდ, თათარა მზადაა. მას შეიძლება ალბათ კახური ყურძნის წვენის ერთგვარი პუდინგი ან ჟელე ვუწოდოთ - ტკბილი, ღვინის მსუბუქი არომატით, ძალიან საინტერესო გემოთი. სხვათა შორის, ცოტა არ იყოს, იტალიურ პანაკოტას მოგვაგონებს. თათარაში კახელები ნიგოზს ურევენ და ისე მიირთმევენ. თუმცა, კახური ფელამუში მორიგი დესერტის საზღვრებს სცდება და კიდევ ერთი ტკბილეულის, ჩურჩხელის შექმნაში მონაწილეობს, რომელიც მისგან სრულიად განსხვავებულია.

ჩურჩხელის დამზადების რიტუალს კახელები თათარობას უწოდებენ და მასზე დასასწრებად და მონაწილეობისთვის ხშირად სტუმრებს ეპატიჟებიან. თუ მარტივად ვიტყვით, კახური ჩურჩხელა ძაფზე ასხმული ნიგვზის მწკრივია, რომელსაც მდუღარე თათარაში ავლებენ და შემდეგ გასაშრობად კიდებენ. მაგრამ ამ კომბინაციის შედეგი უბრალო ან ერთფეროვანი გემო სულაც არ არის. ჩურჩხელა მაწიერი სიტკბოების და მსუყე ტექსტურის იდეალური ნაზავია, თანაც მას მხოლოდ დესერტის სტატუსს ვერ მივანიჭებთ - შეგიძლიათ, ჩურჩხელით იდეალურად დანაყრდეთ; ძველად, შორ გზაზე მიმავალი ქართველები საგზლად სწორედ ამ ტკბილეულს გაიყოლებდნენ ხოლმე, რადგან ის თვეების განმავლობაში ინახება და გემოვნურ და ენერგეტიკულ თვისებებს არ კარგავს.

მოგვწერეთ რომელი კუთხის კულინარია გაინტერესებთ..

## გილოცავთ!

საიუბილეო დაბადების დღეს ვულოცავთ ძვირფას მზია ჩხეიძეს!

ჩვენო საყვარელო მზია ექიმო, ბავშვობიდან მოყოლებული თქვენ ჩვენს გვერდით ხართ და თვალისჩინივით გვიფრთხილდებით. ჩვენ ის ხალხი ვართ ლამეებს რომ გათენებინებდით.. ჩვენ ის თაობა ვართ ქუჩაშიც კი რომ გვიხაროდა თქვენი დანახვა; ჩვენ ის თაობა ვართ ვერასოდეს რომ ვერ შევძლებთ თქვენთვის ,,სამაგიეროს,, გადახდას და ყოველთვის შეგეჯიბრებით სიყვარულში.

ღმერთმა დიდხანს და ჯანმრთელად გვიმყოფოს ჩვენი საყვარელი მზია ექიმი.

ნ. მერებაშვილი





საიუბილეო დაბადების დღეს ვულოცავთ ნაირა მჟავანაძეს.

ძვირფასო ნაირა, გისურვებთ ჯანმრთელობას, ულევ ენერგიას და ბედნიერებას საყვარელ ოჯახთან ერთად.

**საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის კასპის რაიონული საბჭო**

**თავმჯდომარე გიული სოზიაშვილი.**

## შ.პ.ს. “ჰაიდელბერგ ცემენტ ჯორჯიას” კასპის ცემენტის ქარხანა აცხადებს ვაკანსიებს

შ.პ.ს. “ჰაიდელბერგცემენტ-ჯორჯიას” კასპის ცემენტის ქარხანა აცხადებს ვაკანსიებს შემდეგ თანამდებობებზე:

1. ზეინკალ-შემკეთებელი,
2. გრეიფერული ხიდური ამწის ოპერატორი.

გთხოვთ, წარმოადგინოთ თქვენი რეზიუმე ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტში ა/წლის 7 ნოემბრის ჩათვლით შემდეგ მისამართზე:

ქ. კასპი, ფარნავაზის ქ.№2.

**E-mail; maia.Kaciashvili@heidelbergcement.ge**
















## მადლობა

# მადლობის ბარათი

არ შეიძლება მადლიერების გრძნობა არ გამოხატო ყოველივე იმის გამო, რასაც კასპის მუნიციპალიტეტი და მისი მერი ბატონი მანუჩარ მერებაშვილი იჩენს ვარჯაანის მოსახლეობის საკეთილდღეოდ: მოასფალტებულმა ქუჩებმა, ღამის განათებამ, წყალ-კანალის სისტემის მოწესრიგებამ, დასუფთავების სამსახურის აქტიურმა მუშაობამ, ადგილობრივი ტრანსპორტის დანიშვნამ უფრო მეტი სტიმული მისცა მაცხოვრებლებს, რომ თავი კომფორტულად ეგრძნოთ. ხალხს აუსრულდა დიდი ხნის ოცნება.

განსაკუთრებით მისასალმებელია და სასიხარულო, რომ სრულყოფილად გაკეთდა ნომერ მეხუთე საბავშვო ბაგა-ბაღის მისასვლელი გზა. ამით გაადვილდა მშობლებისა და ბაღში დასაქმებული პერსონალის დანიშნულების ადგილზე მისვლა.

კიდევ და კიდევ დიდი მადლობა ბატონ მერს, რომელიც პირადად აკონტროლებდა მიმდინარე სამუშაოებს და შედეგებიც სახეზეა. ვარჯაანის მოსახლეობის ცხოვრების დონე მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა და შეიცვალა, მადლობა ყოველივე ამისათვის.

მადლიერი მოსახლეობა: ლალი მილაძე, მამუკა მაჭარაშვილი, ნანა ადიკაშვილი, ანა ქართველიშვილი, დინარა ქავთარაძე, ნონა ჩარაევი, თამაზ გაბოძე, ზურაბ ქავთარაძე, შალვა მოდრეკილაძე, ვახტანგ ტყეშელაშვილი, თამაზ მაჭარაშვილი, ვაჟა ჩერტკოევი, პაატა ფსუტური, ნათია სოსიაშვილი, ბადრი ახლოური, ხატია ილურიძე, ვერიკო ჩარაევი, ეკა ლაგრაძე, ბესო ბექაური, ლაშა კუდუხოვი.

*მკითხველს შეუძლია მოგვაწოდოს საავტორო კროსვორდები, შემეცნებით-გასართობი მასალები. დაინტერესებულ მკითხველს შეუძლია მოგვმართოს მისამართზე – კასპი, სააკაძის ქ. 68. ან დარეკოს ტელეფონზე: 0371222576.*

**გაზეთ ,,ახალი განთიადის,, რედაქცია სამძიმარს უცხადებს ამირან ტალახაძეს დისშვილის**
**ჭაბუკა მორბედაძის**
**გარდაცვალების გამო.**

**კასპის სპორტკომპლექსი სამძიმარს უცხადებს ამირან ტალახაძეს დისშვილის**
**ჭაბუკა მორბედაძის**
**გარდაცვალების გამო.**

**ლია ნიპარიშვილი ოჯახით სამძიმარს უცხადებს გულქან ბარნოვს მეუღლის**
**გივი ბარნოვის**
**გარდაცვალების გამო.**

**ნანა მერებაშვილი, მარინე როსებაშვილი, რუსუდან ხეჩუაშვილი, გიული სოზიაშვილი სამძიმარს უცხადებენ გულქან ბარნოვს მეუღლის**
**გივი ბარნოვის**
**გარდაცვალების გამო.**


რედაქციაში შემოსული წერილები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ

გაზეთი იბეჭდება შ.პ.ს. კოლორ პრესში

რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
სტატიის ავტორის აზრი, შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციის აზრს. მოტანილი ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
სარეკლამო მასალებისა და განცხადებების შინაარსზე რედაქცია პასუხს არ აგებს.
რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება.

რედაქტორი ნანა მერებაშვილი

რედაქციის მისამართი: 2600 ქ კასპი სააკაძის ქ. № 68 ტელეფონი 22-25-76